ეთიკის კომისიის

ზეპირი

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 05.03.2014

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 005/14

შეკითხვა:

სისხლის სამართლის საქმეზე, ბრალდებულის ინტერესებს იცავს ადვოკატი “B”. აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით, მეორე ბრალდებულის ინტერესების დასაცავად საქმეში მგვიანებით ჩაერთო ადვოკატი “A”. ადვოკატ “B”-მ სასამართლო სხდომაზე განაცხადა, რომ ადვოკატ “A”-ს საქმის მასალების სრულყოფილად გასაცნობად სჭირდებოდა 10 დღიანი ვადა. ადვოკატ “A”მიიჩნევს, რომ ადვოკატ „B” -ს მიზანია საქმის განხილვა დროში გაიწელოს და ამ მიზნით ცდილობს სასამართლოს წინაშე იშუამდგომლოს აღნიშნულთან დაკავშირებით. წარმოადგენს თუ არა ადვოკატ “B”-ს ქმედება კოლეგიალობის პრიცნიპის დარღვევას?

ანალიზი:

მოცემულ შემთხვევაში ადვოკატი “B” მოქმედებს თავისი კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და შეკითხვაში აღნიშნული შუამდგომლობა არ წარმოადგენს კოლეგიალობის რინციპის დარღვევას. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით: „პროფესიის კორპორატიული არსი მოითხოვს ადვოკატთა შორის ნდობასა და თანამშრომლობაზე დამყარებულ ურთიერთობას მათი კლიენტების სასარგებლოდ სასამართლო პროცესების და სხვა კლიენტისთვის საზიანო ქმედებების თავიდან აცილების მიზნით. თუმცა დაუშვებელია კლიენტის ინტერესებზე წინ პროფესიის ინტერესების დაყენება.

დასკვნა:

განსახილველ შემთხევვაში, ადვოკატი “B” მოქმედებს თავისი კლიენტის ინტერესების შესაბამისად, რაც არ წარმოადგენს კოლეგიალობის პრინციპის დარღვევას. ადვოკატ „A”-ს შეუძლია სასამართლო სხდომაზე დააფიქსიროს თავისი პოზიცია „B”-ს განცხადებებთან დაკავშირებით და დაიცვას მისი კლინტის ინტერესები.

რეკომენდაცია არ არის სავალდებულო ეთიკის კომისიის ან სასამართლოს მიერ საქმის განხილვის ეტაპზე, თუმცა შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ერთ-ერთ წყაროდ ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებაში.